პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 ივნისი ხუთშაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 144 (15661)

ხუთწლეული — ვადამდე!

□ მეჩაიეებო! 85.000 ტონა ჩაის ფოთლისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დავძლიოთ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა!

□ *კური ქვეყნის სიმდიდრეა! არც ერთი თავთავი ნაწვერალზე, არც ერთი მარცვალი ნამჯაში!*

ერთგულება ბოლშევიკური

გუშინ პლანტაციებში

გალი

უკანასკნელ დღეებში წვიმები იყო, მაგრამ რაიონის მეჩაიეებს ჩაის ფოთლის კრეფა არ შეუწყვეტიათ. ისინი ენერგიულად შრომობენ დადგენილი პირობის შესასრულებლად. გუშინდელი დღის ჩათვლით სულ რაიონში მოკრეფილია 11.500 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ეს შარშანდელ მაჩვენებლებთან შედარებით 1.258 ტონით მეტია.

მაის-ივნისის გეგმა-ვალდებულებით რაიონში უნდა მოიკრიფოს 13.823 ტონა ჩაის ფოთოლი. გეგმა-ვალდებულება შესრულებულია 81,2 პროცენტით, მოკრეფილი ნედლეულიდან 75,8 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

გუშინ ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით შესრულა კოხორის საბჭოთა მეურნეობამ. მაის-ივნისის გეგმას ამ დღეებში შეასრულებენ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, ზემო ბარღების საბჭოთა მეურნეობა, ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობა და მზიურის საბჭოთა მეურნეობა.

ჩხოროწყუ

მეუხვედაკად არახელსაყრელი ამინდისა, გუშინ რაიონში მოიკრიფა 150 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მაის-ივნისის გეგმა-ვალდებულებით უნდა მოიკრიფოს 5.923 ტონა, მოკრეფილია 5.000 ტონაზე მეტი, ანუ ორი თვის დავალება შესრულებულია 83 პროცენტით.

რაიონის მეჩაიეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მაის-ივნისის ჩაის კრეფის დავალება 27 ივნისისათვის შეასრულონ. ორი თვის დავალება უკვე შესრულეს კირსის XX პარტყრილობის სახელობის და ლეწურწუმის კოლმეურნეობებმა.

ჩაის კრეფის ტემპი შესამჩნევად გააძლიერეს ჭოლის ყდანოვის სახელობის, ჩხოროწყუს ლენინის სახელობის, ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის, ლესიჭინის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა და ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ.

120.000 ტონა ფარცლისათვის

კომბაინერთა შეჯიბრება

გურჯაანელთა მინდვრებში

რაიონში დაიწყო ქერის მოსავლის აღება. პირველ დღეებში დაწინაურდნენ ზანდარის კოლმეურნეობის კომბაინერები. ამ 42 ჰექტარზე ქერი მომკა კომბაინერმა **ვასილ ზავრაშვილმა** და საშუალოდ ჰექტარზე გალეწა 24 ცენტნერი მარცვალი.

მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერები **დიმიტრი პიდენკო, ივანე ბაიდო** და **ჯემალ ნადაშვილი.** მათ მომკეს 52 ჰექტარი ქერის ყანა და საშუალოდ ჰექტარზე გალეწილია 22,4 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 18 ცენტნერისა.

ამ საბჭოთა მეურნეობაში სულ ასაღებია 334 ჰექტარი ქერი და მკას ოთხ დღეში დაამთავრებენ. ქერის მოსავლის აღებას შეუდგნენ კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში. 100 ჰექტარი ქერის ყანიდან უკვე მომკილია 55 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი მარცვალი. ამ თავი გამოიჩინა კომბაინერმა **ილია მარტაშვილმა,** რომელმაც ერთ დღეს მომკა რვა ჰექტარზე მეტი ქერის ყანა.

ხაძღვნის ცნობა

მიფრინავს „კოსმოს-574“

1973 წლის 20 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-574“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკონტროლო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მოსავალი — ბელელში

ყველაზე უკანა ქვეყნის სამხრეთ რაიონებში. შუა აზიის, ყაზახეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ყანებში უკვე გაიყვანეს კომბაინები. ახალი მოსავლის პირველი ათასობით ტონა მარცვლეული ელევატორებს ჩაბარდა. მკის ფრონტი სწრაფად ფართოვდება. შორს აღარ არის ის დღე, როცა თავთავიანთა მახობრივი მკა დაიწყება ყუბანში, დონისპირეთში, უკრაინაში.

ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სოფლის მშრომელებმა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება გაიჩაღეს და ისწრაფვიან ქვეყანას მეტი პროდუქცია მიხცენ. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წლეულს მოიყვანონ სულ ცოტა 197,4 მილიონი ტონა მარცვლეული, არსებითად გადიდონ სხვა კულტურების წარმოება. ნაკისრი ვალდებულებებისათვის მაღალი პასუხისმგებლობით არის გამსჭვალული მხვნელ-მთესველთა შრომა. მიწათმოქმედნი კარგად გაისარჯნენ საგაზაფხულო მინდორში, შექმნეს უხვი მოსავლის საფუძველი. ახლა მათ წარმატებით უნდა მოაწყონ მოსავლის აღება და დამზადება, პირნათლად შეასრულონ პირველი ცნება სახელმწიფოს წინაშე.

წლეულს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი, რთული ამოცანები აქვთ დასახული. საჭიროა არა მარტო მთლიანად შეასრულოთ სახალხო-სამეურნეო გეგმა, მთლიანად უზრუნველყოთ ჩვენი შინაგანი მოთხოვნილება თესლსა და სხვა ფონდებზე, არამედ ვეცადოთ კიდეც, რომ შეავსოთ შარშანდელი დავალობანი. სწორედ ასეთი მიზანი დაისახეს კრასნოდარის მხარის, როსტოვის ოლქის, ვოლგისპირეთისა და სხვა რაიონების მოწინავე მეურნეობებმა. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ უკრაინელ მექანიზატორთა მოწოდებას — სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, დროზე გავუსწოროთ ანგარიში სახელმწიფოს. ყოველივე ეს მაღალ მოთხოვნებს უყენებს დამზადების ორგანიზაციას.

ათასობით კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის კანონად იქცა თავიანთ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. მკაცრად იცავენ კონტრაქტაციის ხელშეკრულებებს მოლდავეთში, ლიტვაში, კალინინგრადის და ზოგიერთ სხვა ოლქში. მაგრამ ყველგან ასე როდია საქმე. საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის მთელი რიგი მეურნეობანი სისტემატურად ვერ ასრულებენ სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის გეგმებს. ვლინდება აგრეთვე ჯუთხურობის, სხვის ხარჯზე ყოფნის განწყობილების ფაქტები. იმის იმედით, რომ დადგენილ დავალებებს მეზობლები შეავსებენ. დამზადებისადმი ასეთი დამოკიდებულება დაუშვებელია.

ზრუნვა სახელმწიფოს ინტერესებისათვის ნიშნავს მივაღწიოთ იმას, რომ პროდუქციის რეალიზაციის გეგმები სრულდებოდეს არა მარტო მთლიანად, არამედ თვითეული კულტურისა ცალცალკე. მაგალითად, ალტაელ მხვნელ-მთესველთა შარშანდელი წარმატება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მარცვლეულის მიყიდვის დავალება მათ გადაჭარბებით შეასრულეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მაგრამ ზოგიერთ მეურნეობაში დამკვიდრდა პრაქტიკა, რომლის დროსაც სახელმწიფო ყოველწლიურად ვერ იღებს მნიშვნელოვანი რაოდენობის ხიმინჯს, ბურღულეულ და საფურაჟე კულტურებს. ამ პრაქტიკის ახსნას ცდილობენ იმით, თითქოს ესწრაფვიან განამტკიცონ ფერმების საკვების ბაზა. სინამდვილეში იგი ზიანს აყენებს მეცხოველეობას, აფერხებს სრულფასოვანი კომბინირებული საკვების დამზადებას, ამცირებს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ პუნქტუალურად დაიცვან კონტრაქტაციის პირობები.

ხელშეკრულებათა შესრულება ბევრად არის დამოკიდებული მიწათმოქმედთა პარტნიორებზე. დამამზადებელთა მოვალეობაა არა მარტო მიიღონ პროდუქცია, არამედ მხვნელ-მთესველების თანაშემწენიც გახდნენ, ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებას. პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან დამამზადებელი ორგანიზაციების პირდაპირი კავშირის განმტკიცებას, გადამშვებელი და სავაჭრო საწარმოების ძალებით პროდუქციის ტრანსპორტირების მოცულობის ზრდას. ამასთან ეს პროცესი ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს. არის ბოსტნეულისა და ხილის ვაფუჭების შემთხვევები დამამზადებელი ქსელისა და ვაჭრობის მუშაკთა მიზეზით. ხშირად ისინი უარს ამბობენ მიიღონ ზეგეგმთი პროდუქცია, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც მალე ფუჭდება. თვითეული ამგვარი ფაქტი უნდა გახდეს ხელიოზული პარტიული განხილვის საგანი. მკაცრი მორალური და მატერიალური პასუხი უნდა მოგკითხოთ იმათ, ვინც დამნაშავეა ხალხის დოვლათის გაფუჭებაში.

პურის, ბოსტნეულის, კარტოფილის მიწოდებათა გეგმების დროული რეალიზაცია ბევრად არის დამოკიდებული მოსავლის მიღებისათვის სასაწყობო მეურნეობის მომზადებაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებაში „1973 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლის აღებისა და დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ დასახულია საშუალოთა ფართო კომპლექსი დამამზადებელი საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ამ დადგენილების შესასრულებლად უკვე ბევრი რამ გაკეთდა. მიწათმოქმედთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა — ყუბანელმა მხვნელ-მთესველებმა შეიმუშავეს მარცვლეულის გადაზიდვის გრაფიკები, მოამზადეს ელევატორები, სასესხორე და საწრეტი ბაქნები. ბაგრამ ასეთი ღონისძიებანი ჯერ კიდევ ყველგან როდია მიღებული. მთელ რიგ რაიონებში. არ მოუმზადებიათ მარცვლასაცავების ნაწილი. დამამზადებელმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი, ყველაფერი იღონონ, რათა პური, სხვა პროდუქცია დროულად იყოს მიღებული და დაცული, ისე რომ ერთი გრამიც არ დაკარგდეს.

მოსავლის აღება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამასთან წუთითაც არ უნდა გვრჩებოდეს მხედველობიდან სამუშაოთა კომპლექსი, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის ახალი ბოსტნეულით, კენკროვნებით, კარტოფილით მომარაგებასთან, მათი საზამთრო მარაგის შექმნასთან. ზაფხული საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების, რძის, ხორცის, კვერცხის შესყიდვის გადიდების დიდმნიშვნელოვანი პერიოდია. ახლა მთავარი ის არის, რომ ყოველი ღონე ვიხმაროთ პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის, დამზადების სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის.

მოსავლის აღება და დამზადება სოფლის პარტიულ ორგანიზაციათა სეროიზული გამოცდაა. ერთხულოვანი და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის, სახელმწიფოს ინტერესების მტკიცედ დაცვის უნარით ვლინდება კომუნისტთა ფართო თვალსაწიერი. პოლიტიკური სიმწიფე. მათი ვალია იბრძოლონ ჯუთხურობის განწყობილების, პროდუქციის მოყიდვის შემცირების, კონტრაქტაციის პირობების დარღვევის ცდების წინააღმდეგ. სახელმწიფოს წინაშე პირველი ცნების შესრულება ყველა მიწათმოქმედის ღირსების საქმე უნდა იყოს. დამზადების დისციპლინის განსამტკიცებლად ბევრი რამ უნდა გაკეთონ პროდუქციის შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციებმა — აამაღლონ სამეურნეო კადრების პასუხისმგებლობა დაწესებული გეგმების შესრულებისათვის, განავითარონ წარმოების მუშაკთა და დამამზადებელთა საქმიანი ურთიერთობა.

ქვეყანაში სადაც არის დიდი მკა დაიწყება. მალე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყანებში გაჩაღდება პურეულის აღების სამუშაოები, დაიწყება მარცვლეულისა და სხვა პროდუქციის მასობრივი მიყიდვა. სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობით სოფლის მშრომელნი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევენ და სამშობლოს უანბებსა და ფერმების მეტ პროდუქციას მიხცემენ.

ПРАВДА

19 ივნისის მოწინავე

ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი. 19 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ფრანკლინის დარბაზში, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალმებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონის თანდასწრებით გაიმართა ხელმოწერა მთელი რიგი ხელშეკრულებებისა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. სურათზე: ფრანკლინის დარბაზში დამსწრენი მიესალმებიან ლ. ი. ბრეჟნევსა და რ. ნიქსონს.

საკდესი (სურათი მიღებულია ხაქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

მოლაპარაკება თეთრ სახლში გრძელდება

ვაშინგტონი, 20 ივნისი. (საკდესი). გუშინ თეთრ სახლში მოლაპარაკებას განაგრძობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **რ. ნიქსონი.** განიხილეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის საკითხები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ გასული წლის მანძილზე მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი ამ ურთიერთობის განვითარებაში. განიხილეს ორ ქვეყანას შორის გრძელვადიან ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ფართო მასშტაბების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარების გზები და ფორმები.

მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი,** სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი **გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი.**

ამერიკის მხრივ — სახელმწიფო მდივანი **უ. როჯერსი,** ფინანსთა მინისტრი **ჯ. შულცი,** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწენი **ჰ. კისინჯერი, პ. ფლენიგანი, ჯ. კონელი** და თეთრი სახლის პასუხისმგებელი თანამშრომელი **ჰ. სონენფელდტი.**

ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა კავშირი ამერიკის შეთანხმებებს

ვაშინგტონი, 19 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ფრანკლინის დარბაზში, რომელიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევისა** და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის **რ. ნიქსონის** თანდასწრებით ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ შეთანხმებებს.

ლ. ი. ბრეჟნევსა და რ. ნიქსონს დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ.

ხელი მოაწერეს შეთანხმებებს სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შესახებ, ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის შესახებ, მსოფლიო ოკეანის კვლევის დარგში თანამშრომლობის შესახებ, და ზოგად შეთანხმებას კონტაქტების, გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით შეთანხმებებს ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ,** ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა **უ. როჯერსმა.** სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ,** ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით — სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ე. ბაცმა.**

შეთანხმებათა ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი,** სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, თანამშემწენი **გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი,** სსრ კავშირის ელჩი **ა. თ. დობრინინი,** საკავშირო ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** საკავშირო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის **ლ. მ. ზამიატინი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორი **გ. ა. არბატოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **გ. მ. კორნიეკო,** საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

ამერიკის მხრივ იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში **ჰ. კისინჯერი,** ფინანსთა მინისტრი **ჯ. შულცი** და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა წევრები, კონგრესის ლიდერები, სენატის კომისიათა წევრები, კონგრესმენები, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და სხვა სამინისტროების მუშაკები.

დარბაზში იყო საბჭოთა, ამერიკელი და უცხოელი ჟურნალისტების დიდი ჯგუფი.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა სენატორებს

ვაშინგტონი. 20 ივნისი. (საკდესი). გუშინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის წევრებს მისი თავმჯდომარის **უ. ფულბრაიტის** მეთაურობით. შეხვედრაში მონაწილეობდნენ დემოკრატთა ლიდერი სენატში **მ. მენსფილდი** და რესპუბლიკელთა ლიდერი სენატში **ჰ. სკოტი,** კომისიის წევრები **ჯ. აიკენი, გ. ბეიკერი, ფ. ჩერჩი, რ. გრიფინი, ვ. ჰარტკე, ჰ. ჰიმფრი, ჯ. ჯავიტსი, გ. მაკგი, ჯ. მაკგოვერნი, ე. მასკი, ჯ. პასტორე, ჯ. პელი, ჯ. პირსონი, ჩ. პერსი, ე. ჰოლინგსი, რ. შვეიკერი, ჯ. სპარკმენი, ხ. ციმინგტონი,** აგრეთვე კონგრესმენები **ტ. მორგანი** და **პ. ფრელინგჰაზენი.**

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის მინისტრები **ნ. ს. პატოლიჩევი** და **ბ. პ. ბუგაევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწენი **გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი,** სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები **გ. ა. ყუკოვი, ლ. მ. ზამიატინი, ა. ბ. ჩაკოვსკი,** ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორი **გ. ა. არბატოვი.**

ხანგრძლივი საუბრის მსვლელობაში ლ. ი. ბრეჟნევმა დაწვრილებით გააშუქა სკკპ-ს საგარეო პოლიტიკის მიზნები, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში. შეიტყობა რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარება ორივე ქვეყნის ხელმძღვანელთა 1972 წლის მაისში — მოსკოვის შეხვედრის მომენტიდან, ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

— მე ახლა არ ვიმეორებ გამოვიკვლიო ჩვენი წარსული ურთიერთობის ისტორია, ამჟამად, და ამაში დარწმუნებული ვარ, ჩვენ ექმნით ამ ურთიერთობის ახალ ისტორიას. ამას მთავარი მიტი დაარწმუნებით ვამბობ, რომ გასულმა წელმა დადასტურა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის იმ ხაზის სისწორე, რომელიც დასახულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონის მოსკოვში გამართული შეხვედრის შედეგად ხელმოწერილ დოკუმენტებში.

ეს ხაზი, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, უნდა განვამტკიცოთ და კიდევ უფრო განვავითაროთ. სწორედ ამ მიზანს ისახავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახლანდელი მოლაპარაკება. ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალ შეფასება მისცა ხელმოწერილი ოთხი ახალი შეთანხმების მნიშვნელობას, რომლებიც ათავთავებენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის სფეროს, და აღნიშნა სენატორებს, რომ მზადდება ახალი დოდნიშვნელოვანი შეთანხმებები, მათ შორის ისეთ საკითხზე, როგორიც არის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ახალი ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორად — მხარის — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და კონგრესის **კონსტრუქციულმა** მიდგომამ.

ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას და თქვა, რომ თანამშრომლობა ამ სფეროში, დიდ შესაძლებლობებს უსახავს ორივე მხარეს, თუ იგი დიდმასშტაბიანი, ხანგრძლივი იქნება და ეფექტიანიც.

ზოგი ვინმე ჩვენს ქვეყნებს „ზესახელმწიფოებს“ უწოდებს, გამოთქვამს რა ამ სიტყვებით სპეციფიკურ აზრს: თითქოს ხდებოდეს შეთანხმება სხვა ქვეყნების ინტერესების საზიანოდ, თქვა შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა. მაგრამ განა ის, რაზეც მიღწეულ იქნა შეთანხმება მოსკოვში, და ის, რასაც დღეს განვიხილავთ, თუნდაც რამდენადმე მაინც აყენებს ზიანს სხვა ხალხებს? პირიქით, პოზიტიური ძალები საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში უალრესად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ საერთო ვითარებაზე. ოემკობესებენ საერთაშორისო კლიმატს, განამტკიცებენ მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო ევროპის პრობლემებს. ევროპა, თქვა მან, — ეს არის კონტინენტი დიდად განვითარებული ეკონომიკით. იქ თავმოყრილია უდიდესი კულტურული ღირებულებანი. მაგრამ ამასთან სწორედ ამ კონტინენტზე **გაჩაღებული ყველაზე** სამშინელი ომები, როგორიც კი ისტორიას უნახავს, მათ შორის ორი მსოფლიო ომი. საერთოა, რომ ევროპის ხალხები მშვიდობით ცხოვრობდნენ, არ ამინებდეთ თავიანთი ბავშვების ბედი, ახალი თაობების მომავალი. სწორედ ეს მიზნები დგას საბჭოთა კავშირის ეკონომიკური პარტიის საგარეო პოლიტიკის ცენტრში. ამავე მიმართულებით მოქმედებენ სხვა სოციალისტური ქვეყნები. ჩვენ ამაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ევროპაში მშვიდობის განმტკიცების იდეას მხარს უჭერენ სოციალისტური, ბურჟუაზიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოების თანამრობები.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, თუ რა ანმშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების იდეის მხარდაჭერას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და სენატის მხრივ, რამაც დადებითი როლი შეასრულა სრულიად ევროპის თათბირის მომზადებისადმი მიძღვნილი ჰელსინკის საკონსულტაციო შეხვედრის მსვლელობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი შეეხო ევროპაში შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხს და აღნიშნა, რომ ეს იდეა საბჭოთა კავშირმა წამოაყენა. ახლა არის სეერთო თანხმობა, რომ მოიწყოს მოლაპარაკება ამ თემაზე. იგი, თქვა მან, უნდა ჩატარდეს მშვიდად, საქმიანად, ყველა ქვეყნის უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით.

საერთაშორისო პრობლემებს შორის ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებით გამოაჩინა ვიეტნამში ომის დამთავრების საკითხი. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც ხელი მოაწერა ვიეტნამის შესახებ პარიზის კონფერენციის დასკვნითს აქტს, მტკიცედ დაიცავს მის დებულებებს. ჩვენ მოველოთ, თქვა მან, რომ ასევე მოიქცევიან კონფლიქტიანი ბანაკების შეთანხმების სხვა მონაწილენი.

საუბრის მსვლელობაში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გაცვლას, ტურიზმის გაფართოებას, რა თქმა უნდა, თვითეული ქვეყნის კანონების, ტრადიციების, ადათ-წესების ჯეროვანი დაცვით. მან მხარი დაუჭირა კონტაქტების გაფართოებას. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შორის, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, აგრეთვე კავშირთა-ერთობის დამყარებას ორივე ქვეყნის პროფკავშირებს შორის. მხარდაჭერაში მაქვს, როგორც ურთიერთობა ხელმძღვანელ მოღვაწეებს შორის, ისე აგრეთვე მშრომელთა დელეგაციების გაცვლა.

ლ. ი. ბრეჟნევმა უპასუხა სენატორების მთელ რიგ კითხვებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა შეხვედრის ამერიკელ მონაწილეთა სახელით მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მიღებისათვის და დიდი ამაყოფილება გამოთქვა გამართული საუბრის გამო. ჩვენი ქვეყნები, თქვა მან, ურთიერთობის ახალ ეტაპზე შედიან. ჩვენ ინტერესებულნი უნდა ვიარაოთ წინ დასახული გზით.

საყოველთაო ეკონომიკური აღრიცხვა

პარტიული ცხოვრება

რაჭიმ დუმან აგიჯაჭორები?

ახლა ზაფხულია, ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის აფხული... და ბუნებრივია, საქესაც რა გამოლევს. ყვარლის რაიონის ლექტორებიც, პოლიტიკურ-ორმატორებიც. აგიტატორებიც ქ უნდა იყონ, სადაც საფუძველი ეყრება და იქიან მომდინარეობს მოსავალს — მინდვრად, ბილის ბაღებში, ეენახებში, ფერმებში... სოფელ შილდის კოლეურნეობის ვენახებში ხშირად ეხვედებით აგიტატორებს დ. იორანაშვილს, გ. მჭედლიშვილს, ლ. ბუხმეტელს, მ. კეკელიშვილსა და ზებს, რომლებიც დამაჯერებელი ტყვიით ესაუბრებიან კოლმეურნეებს, რაზმავენ მათ ამინდის ირეულობით გამოწვეული სიძელეების დასაძლევად. აგიტატორების შ. ნატრიშვილისა და ს. გოგიაშვილის შინაარსიან საუბრებს ოსმენთ მემინდვრეობის ბრიგადებში.

ამ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ი. ნიკოლოზიშვილი) აგიტკოლექტივში აერთიანებულია 30 აგიტატორი, ომლებიც უშუალოდ საწარმოო ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში მუშაობენ.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან ბრეთვე ბავეზის, ახალსოფლის, ოკანის კოლმეურნეობების აგიტკოლექტივები.

მაგრამ ყველგან ასე როდია.

რაიონის ცენტრიდან არც თუ ისე დაშორებულ სოფელ ეუმეტის კოლმეურნეობის, პარტიული ორგანიზაცია 22 კომუნისტს ერთიანებს, ხოლო კომკავშირის ორგანიზაცია — 26 ახალგაზრდას. ოფლის რვაწლიან სკოლაში 15 ასწავლებელი მუშაობს, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმეკეთილი და ამედიცინო პუნქტში კი ათამდე ოსამსახურია დასაქმებული. ეს აკმარ ძალაა იმისათვის, რომ აქ ემოქმედებითად ჩქეფდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, ემოშრომების დღისათვის ადმოჩნდა, რომ ეს მნიშვნელოვანი საქმე თითქმის ჩაშლამდე იყო მიყვანილი.

პარტიული ორგანიზაციის მეიროს მდივანს ე. ჯიოევს, რომელიც აგიტკოლექტივის ხელმძღვანელადაც ითვლება, აგიტატორთა ია მოვთხოვეთ. მან კარგახანს ეყოყმანა და ბოლოს განაცხადა, ბეპირადაც მახსოვს, ახლავე ჩამოგიწერთო.

— არც ის გახსოვთ, აგიტკოლექტივის სემინარზე რის შესახებ ბესაუბრათ ხელმძღვანელი?

კვლავ სიჩუმე.

ბოლოს ყურებამდე გაწითლებულმა კომკავშირელმა ქალიშვილმა თავი ასწია და განაცხადა:

— ჩემთვის აქამდე არავის უთქვამს თუ აგიტატორი ვიყავი, არც სემინარზე დავსწრებივარ და არც საუბრები მომიწყვია.

სახელდახელოდ გამომცხვარ აგიტატორთა სიაში საიქვაძე ორჯერ ეწერა — № 1 ბრიგადაში — ივანე და № 3 ბრიგადაში — ანია, ნინო სოლომნიშვილი კი საერთოდ სიაში არ იყო შეტანილი.

ყველაფერს ფარდა აეხადა: თურმე პარტიულ ორგანიზაციაში არც აგიტკოლექტივი არსებობს და არც აგიტატორთა სია გაჩენილა.

ცოტა ხნის შემდეგ მან რვეულს უურცელი გამოგვიწოდა, რომელზეც ოთხი კაცის გვარი ეწერა.

— სულ ეს არის? — გაკვირვება ვერ დავფარეთ.

— მეტი რათ გვინდა, კოლმეურნეობაში ოთხი ბრიგადაა და ოთხის აგიტატორიც გვყავს,—გვიპასუხა ე. ჯიოევმა. მეცხოველეობის ფერმები, მექანიზაციაზე დასაქმებული კოლმეურნეები და სოფელში მყოფი პენსიონერები კი აღარ გაახსენდა.

ვთხოვეთ ერთ-ერთი აგიტატორისათვის დაეძახნათ.

— ახლავე. ერთი მათგანი სასოფლო საბჭოშია და მალე აქ გაჩნდება. აგიტატორის მოსაყვანად კომკავშირის კომიტეტის მდივანი ს. გელაძე გიძეა. ისინი მალე გამოჩნდნენ, მაგრამ ვიდრე კოლმეურნეობის კანტორაში შემოვიდოდნენ დერეფანში გაცხარებით კამათობდნენ. ბოლოს კარი გაღო და სიცოცხლით სავსე მკვირცხლი ქალიშვილი გამოჩნდა.

— ეს არის აგიტატორი ნინო სოლომნიშვილი, — გაგვაცნო ახალმოსული აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა.

ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— რომელ ბრიგადაში ხართ აგიტატორად?

— პირველ ბრიგადაში.

სიას დავხედე, აქ პირველი, ბრიგადის გასწორივ ი. საიქვაძე ეწერა.

— საუბრებს თუ აწყობთ ბრიგადის წევრებთან?

ქალიშვილი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ მორცხვად თქვა: — დიახ, ვაწყობთ.

—როიის იყავით უკანასკნელად ბრიგადაში?

— არ მახსოვს.

— იქნებ ის მაინც გიახსენოთ, რა საკითხებზე გქონდათ საუბარი?

პაუზა...

როცა პარტიული ორგანიზაციის შორს დგას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისაგან

და ამ დროს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა უკვე თავისმართლება დაიწყო.

— მე ახალი კაცი ვარ, ოთხი თვეა, რაც მდივნად ამირჩიეს და ეკი მოვასწარი ამ საქმის მოგვარება (!). მართლაც, პარტიულ კრებებზე ერთხელაც არ უხსენებიათ აგიტატორის სახელი, ბიუროს სხდომებიც აქ საერთოდ არ ყმართება.

— სად არის ძველი მდივანი, იქნებ მან მაინც აგვიხსნას, რატომ არის უგულებელყოფილი ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმე?

— სად არის და „ციხეში“ — იყო მოკლე პასუხი.

აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ყოფილი მდივანი და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, სოფლის მესვეურებისათვის დიდად მიღებული კაცი ბ. მელქოშვილი საკანაჭრეხეს შეუდგა. შარშან კოლმეურნეობის სახმთო ოთ ნაკვეთში ეთესა. პირველ ნაკვეთში, სადაც მოსავალს უკეთესი პირი უჩანდა, აგრონომმა სიარულს მოუხშირა, კარგი სახმამრთა ასხია და მეშინიან არ მოგვპარონო, — ეუბნებოდა თავმჯდომარეს.

შემდეგ, როცა სახმამროს კრეფა-ჩამაჯრება დასასრულს უახლოვდებოდა, კოლმეურნეობ ის თავმჯდომარეს ა. ხინიევს ეჭვი შეეპარა, იმ ნაკვეთში, სადაც აგრონომი იშვიათად დაიარებოდა, ჭიტკარზე სამუალოდ 20 ტონა მოსავალს იღებდნენ, აგრონომის „სამეურვეო“ ნაკვეთში კი — 8 ტონასაც ვერ აღწევდა. დაიწყო ეეთარების შესწავლა. კოლმეურნეები თავიანთი თვალით ხედავდნენ, რომ მოსავლის დიდი ნაწილი სადღაც აუწონავად მიდიოდა. ძიებამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა — აგრონომის ხელისშეწყობით სახმამრო ქურდულად კერძო ბაზარზე მიდიოდა პირადი გამორჩენის მიზნით.

ეი ასეთი კაცი ედგა სათავეში წლების მანძილზე პარტიულ ორგანიზაციასა და აგიტკოლექტივს. გასაგებია, რა საგიტაციო მუშაობას გაწევდა კოლმეურნეობაში ქურდი კაცი! მელქოშვილი ახლა გარიცხულია პარტიის რიგებიდან და მართლმსაჯულებამაც ღირსეულად დასაჯა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შემდეგაც ალარაეინ იხრუნა კოლმეურნეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისათვის და ჩაშლილი საქმე კარგა ხანს ჩაშლილად დარჩა.

კოლმეურნეობაში ვერ დაიკვეხნიან წარმოების მაღალი დონით. მაშინ როცა აქ აუოცხელი რეზერვები გაჩნიათ.

როცა სიტყვა სოციალისტურ შეჯიბრებაზე ჩამოვარდა, კოლმეურნეობის კანტორაში ერთხანს ელრაკენ გაიხსენა, წელს აქ რა ვალდებულებები იკისრეს. ხალხის ოავშეყარის არც ერთ ადგილში არ ალმოჩნდა ვალდებულებათა ამსახველი ციფრები. ბოლოს ბუღალტრის უჯრაში მიაგნეს.

საშემოდგომო ხორბალი კოლმეურნეობას 380 ჰექტარზე უთესია, ვალმით ჰექტარზე 18 ცენტნერის, ხოლო ვალდებულებით 31 ცენტნერი მოსავლის მიღებას ვარაუდობენ. სიმინდი 89 ჰექტარზე დათესეს და საშუალოდ ჰექტარზე შესაბამისად 28 და 35 ცენტნერ მარცვალს მოიყვანენ. როცა საუბარში რეზერვები გაიხსენეს, თავმჯდომარემ განაცხადა, სიმინდი უფრო მეტი შეგვიძლია დავთესოთ და საშუალო მოსავალი 40 ცენტნერამდე ავიყვანოთო.

ეს კარგია, მაგრამ იმათ, ვინც უნდა მოსავლისათვის უნდა იბრძოლოს და უშუალოდ პროდუქციის წარმოებაზე დასაქმებული, არაფერი არ იციან ამ ვალდებულებათა შესახებ, და არც არავინ მოუწოდებს მათ ბეჯითი შრომისაკენ. ჩანს, კოლმეურნეობის კომუნისტებს ჯერ კიდევ სათანადო დასკვნები არ გაუკეთებიათ ოდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების შესახებ საქართველოს პარტიული აქტივის კრების გადწყვეტილებებიდან.

კუჭტანი ამ მხრივ რაირნში გამონაკლისი როდია. ზოგიერთ საწარმოთა და საზოგადოებრივ მეურნეობათა წინაშე მდგომი ამოცანები ყოველთვის უზრუნველყოფილი არ არის ოდეოლოგიურად, სიტყვას არ მოსდევს საქმე. პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან სოციალისტური შეჯიბრების საპატიოობისა და მისი შედეგების შესადარისობისათვის.

პარტიის ყვარლის რაიკომი სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს ამ მდგომარეობას.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხელმძღვანელი და დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის

მიმოიხილველთა კომენტარებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შესახებ საუბრობს აზრი, რომ ცხოვრება ადასტურებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაჯანსაღების კურსის სისწორეს. გამოთქვამენ იმედს, რომ ახლანდელი მოლაპარაკების მსვლელობაში გადადგამენ ახალ დიდ ნაბიჯებს, რათა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას მიანიჭონ მეტი სტაბილურობა, გაადიდონ წვლილი მშვიდობის საქმეში, დაძაბულობის შენელების საქმეში.

ბოსტონი ამერიკული გაზეთი ხაზს უსვამს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმ მისწრაფების შესახებ, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა აშენონ ჯეროვანი გაჯანსაღებით და ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით. მომმოხილველთა აზრით, ვიზიტის პირველი დღეები იძლევიან საფუძველს ვიფიქროთ, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკების შედეგები მოასწავებენ ახალ დიდმნიშვნელოვან მიჯნას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში.

□ □

„ნიუ-იორკ დეილი ნიუსი", აშშ

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა, — წერს „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი", — უკვე დაიწყო ნიქსონთან აქტიური მოლაპარაკება, რომელიც დაეხმარება რუსებს და ამერიკელებს გადადგან ნაბიჯი წინ იმ მიზნით, რომ მსოფლიოს მოხსნან შეიარაღების ტვირთი და განამტკიცონ მშვიდობა".

„ნიუ-იორკ ტაიმსი"

„ნიუ-იორკ ტაიმსი" კომენტარს უძღვნის საპატიო საბჭოთა სტუმრის შეხვედრას ამერიკელ სენატორებთან და აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევთან საუბარმა „დიდი შთაბეჭდილება" მოახდინა მათზე.

„ნოიეს დოიჩლანდი", გდრ

„ნოიეს დოიჩლანდი" ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის პრეზიდიუმ და ავტორიტეტი არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მაღალი, როგორც ამჟამად. ამას ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, წერს გაზეთი. საბჭოთა კავშირი იჩენს ხოლმე გადამწყვეტ და კონსტრუქციულ ინიციატივებს ჩვენი დროის მსოფლიო პოლიტიკის ყველა ძირითად პრობლემაში.

„ციჩე ვარშავი", „გლოს პრაცი", პოლონეთი

„ციჩე ვარშავი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკება „წარმოებს მთელი კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის ინტერესებისათვის", ლ. ი. ბრეჟნევი ვაშინგტონში აწარმოებს მთელი მსოფლიოს ბედისათვის დიდმნიშვნელოვან მოლაპარაკებას, წერს პოლონური „გლოს პრაცი".

„უნენი", მონგოლეთი

ლ. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკაში აცხადებს მონგოლური „უნენი", დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირის მშვიდობის პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა, მკაფიოდ და დამაჯერებლად ადასტურებს იმას, რომ ცხოველუნარიანია ლენინური მოძღვრება სხვადასხვა სოციალურ-სახოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესახებ.

„სვობოდნე სლოვო", ჩეხოსლოვაკია

„ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, — ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის გაზეთ „სვობოდნე სლოვოს" კომენტარში, — კვლავ ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პროგრამას".

„რაბოტნიჩესკო დელო", ბულგარეთი

როგორც ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო" წერს, ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე თავდაჩენე საქმიანი და ნაყოფიერი მოლაპარაკების კალაპოტით წარიმართა. ასეთი მიდგომა გამოხატავს მისწრაფებას, რომ დაარჩარონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი ახალი შეთანხმებანი მოიცავენ საკითხთა ფართო წრეს. ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია თანამშრომლობის გაფართოების გზაზე, დასაკვნის „რაბოტნიჩესკო დელო".

„ლუმანიტე", საფრანგეთი

ფრანგ კომუნისტთა გაზეთი „ლუმანიტე" კომენტარს უძღვნის მოლაპარაკების პირველ დღეს და აღნიშნავს, რომ მოლაპარაკება დაიწყო ხელშემწყობ ატმოსფეროში, თუმცა ჯერ კიდევ უყელა სიძნელე როდია გადალახული. საჭიროა „ცივი ომის" ინერციის დაძლევა.

„პაეზე სერა", იტალია

„პაეზე სერა" აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამასთან ხაზს უსვამს, რომ უდიდესი სახელმწიფოების ურთიერთობის სტაბილურობა, ეჭვი არ არის, უალრესად დადებით გავლენას მოახდენს მთელი საერთაშორისო მდგომარეობაზე.

„ნეშნლ ჰერალდი", ინდოეთი

მთავრობის წრეებთან დაახლოებული ინდური „ნეშნლ ჰერალდი" პრეზიდენტ რ. ნიქსონთან ლ. ი. ბრეჟნევის დაწყებულ მოლაპარაკებას აფასებს როგორც „კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ ნაბიჯს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების გზაზე".

„ანსან უუტისეტი", ფინეთი

„საბჭოთა კავშირის აქტიურმა, „პროგრესულმა და მოქნილმა საგარეო პოლიტიკამ, რომლის მთავარი მიზანია მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფა, უკვე მოიტანა ბევრი სასურველი შედეგი", — წერს მოწინავე სტატიაში ფინური „ანსან უუტისუტი".

„ათ-თაააჰი", ერაყი, „ელ-მუჯაჰიდი", ალჟირი

„ჩვენი დროის ერთ-ერთ შემობრუნების მომენტს" უწოდებს ერაყის გაზეთი „ათ-თააჰი" ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრას პრეზიდენტ რ. ნიქსონთან. უმაღლეს დონეზე შეხვედრა, ხაზს უსვამს ალჟირის „ელ-მუჯაჰიდი", ახალ პოზიტიურ წვლილს შეიტანს უმთავრესი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

იუვენალური — ნაციონალური

იუვენალური ნაპოვნი

ოკლენდის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის პროფესორი ჯონ ჰიუზენი, რომელიც გათხრებს აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ შტატში, დაინტერესდა ქვის ფილების უცნაური განლაგებით. გულმოდგინე დაკვირვების შემდეგ პროფესორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მის წინ თავისებური ქვის კალენდარია, რომელიც გაუკეთებიათ ამერიკის უძველეს ბინადართ.

ჰიუზენის ნაპოვნი მეორეა ასეთი ტიპის ძეგლებს შორის. ასეთი კალენდარი პირველად აღმოაჩინეს ქალაქ სენტ-ლუისის მახლობლად. პროფესორი ჰიუზენი კატეგორიულ უარს აცხადებს არქეოლოგიური გათხრების ადგილის დასახელებაზე იმის შიშით, რომ, გაიგებენ თუ არა, ტურისტებითა და არქეოლოგიის მოყვარულებით გაივსება გათხრების ადგილი.

● ●

საინტერესო სტატისტიკა

ფრანგებს ძალიან უყვართ კინემატოგრაფი. გასულ წელს საფრანგეთის კინოთეატრებში ფილმებს დაესწრო 46.211 ათასი მაყურებელი. ყველაზე მეტად კინოდარბაზებს პარიზელები ეტანებიან. ქალაქის კინოთეატრებში ყოველ წელს დამსწრეთა რიცხვი ქალაქის მოსახლეობის რიცხვს უტოლდება.

აქვეყნებენ რა ამ სტატისტიკას, გაზეთები ხაზს უსვამენ ერთ საინტერესო დეტალს. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფრანგი მაყურებლის ინტერესი ეროვნული კინოხელოვნებისადმი. 1972 წელს მაყურებელთა რიცხვი, რომელთაც ნახეს საფრანგეთის კინოსტუდიების მიერ გამოშვებული კინოფილმები, 14 პროცენტით გაიზარდა. ამაღე დროს საფრანგეთში დასავლეთის სხვა ქვეყნების მიერ გამოშვებული ფილმებისადმი ინტერესი თანდათან კლებულობს.

● ●

ამიზგმერგი ქამანდით?

ცოტა ხნის წინათ წინადადება წამოაყენეს, რომ ამისბერგები გამოეყენებინათ ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკის მშრალი რაიონების მტკნარი წყლით მომარაგების საქმეში. მაშინ ამ წინადადებას სერიოზულად არ მიაქცევს ყურადღება. ამჟამად მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს საქმე შეიძლება მომგებიანი იყოს. გამოთანგარიშეს, რომ 10 კილომეტრი სიგრძის, 2,5 კილომეტრი სიგანისა და 270 მეტრი სიმაღლის ამისბერგს შეუძლია იმდენი წყალი მოგვცეს, რის მიღებაზეც სპეციალური მოწყობილობის საშუალებით დაიხარჯებოდა 500 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ზემოაღნიშნული ზომის „ქამანდმოდებული" ამისბერგის წყლებისათვის საჭიროა ათჯერ უფრო მძლავრი სუპერბუქსირი, რაც კი ამჟამად არსებობს. ამერიკის ჟურნალ „საიენს ენდ პაბლიკ ალერსის" ცნობით ამისბერგი ბუქსირების დროს დაკარგავს თავისი მასის 10 პროცენტს. ამ წამოწყების სხვა ეკონომიური ფაქტორები ჯერ კიდევ შეუსწავლელია, მაგრამ წინასწარი გამოკვლევები უფლებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, — წერს ინგლისის გაზეთი „ობსერვერი", — რომ ამისბერგების ბუქსირება შესაძლია „კაპიტალდაბანდების ერთ-ერთი მიმზიდველი საშუალება გახდეს".

● ●

გრიგალი იტალიაში

ახლახან იტალიის ცენტრალურ რაიონებს თავს დატყდა გრიგალი, რომელმაც მნიშვნელოვნად დააზარალა ტოსკანის, მარკესა და ლაციოს ოლქების სოფლის მეურნეობა. დასეტყვილია ყანები და ხეხილის ბაღები. ტოსკანისა და ლაციოს სანაპიროზე გრიგალმა დაანგრია პლაჟის ნაგებობანი, დაზიანებულია ფლორენციისა და რომის დამაკავშირებელი რკინიგზის მონაკვეთი.

● ●

წყალდიდობის შედეგად

100 ათასზე მეტი კაცი დაზარალდა ინდოეთის ასამის შტატში წყალდიდობისაგან, რომელიც გამოიწვიეს ძლიერმა მუსონურმა წვიმებმა და აგრეთვე მდინარე ბრამაპუტრისა და მისი შენაკადების აღიდებამ.

ᲘᲣᲕᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ Რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 ივნისი. (საკუთარი სპეც. კორრ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **რ. ნიქსონი** თვთრ სახლში შეხვდა საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფს. საბჭოთა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დაუსვეს კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ იფასებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების შედეგებს ვანელილი წლის მანძილზე და მომავლის პერსპექტივებს.

ჩვენ ფრიად კმაყოფილი ვართ მიღწეული შედეგით საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების განვითარებაში, განაცხადა რ. ნიქსონმა. ვფიქრობ, რომ უმაღლეს დონეზე ახლანდელი შეხვედრაც ნაკლებად პროდუქტიული არ იქნება, ვიდრე შარშანდელი მოსკოვის მოლაპარაკება. იმედი მაქვს, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, რომ ეს შეხვედრა უფრო შედეგიანიც კი იქნება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, აღნიშნა რ. ნიქსონმა, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი უკვე იცნობენ ერთმანეთს და ესმით ერთმანეთისა. შარშან ბევრი დრო მოვახმარეთ ერთმანეთის გაცნობას. ის, რომ ახლა ერთმანეთს ვიცნობთ, ამას ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს მოლაპარაკების წარმატებისათვის. წელს საქმეს გაცილებით სწრაფად შევუდექით.

რ. ნიქსონმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა ვიეტნამში ომის დამთავრებასთან დაკავშირებით, როგორც, როგორც მან თქვა, შარშან წამლავდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას. თუმცა შეერთებულ შტატებს ჯერ კიდევ აქვთ გადაუწყვეტელი პრობლემები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, თქვა მან, მაგრამ აქედან ყველაზე უსიამოვნო — ომი ვიეტნამში — დღის წესრიგიდან მოიხსნა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის აზრით, ამან უფრო ხელშემწყობი ატმოსფერო შეუქმნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის წლევანდელ მოლაპარაკებას.

ჩვენ მეტად ოპტიმისტურად ვფიდებით უმაღლეს დონეზე ჩვენი შეხვედრის წარმატებას, — განაცხადა დასასრულ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ პოპულარობა იზრდება

20 ივნისი. (საკდესი). გაზეთი **„ვაშინგტონ პოსტი"** აქვეყნებს გალაპის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებს და წერს, რომ ამერიკელებს შორის მკვეთრად იზრდება საბჭოთა კავშირის პოპულარობა. გამოკითხვის თანაზმად, უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე თითქმის 7-ჯერ გაიზარდა იმ ამერიკელთა რიცხვი, რომლებიც დადებითად ეკიდებიან სსრ კავშირს. გაზეთი განმარტავს ამ მონაცემებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფართო მასების განწყობილების ასეთი შეცვლა „უპრეცედენტია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სამსახურის ისტორიაში".

ᲙᲐᲠᲚ ᲒᲘᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ბულგარეთის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე მსოფლიოს ორი უმძლავრესი სახელმწიფოს ურთიერთობის შემდგომი განვითარებით დაინტერესებულია მთელი კაცობრიობა. მთელი კაცობრიობა გულწრფელ მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირს სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული შეანიშნავი საშვიდობო პროგრამისათვის, იმ უაღრესად მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივებისათვის, რომლებსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ, ახორციელებს სსრ კავშირი".

ᲑᲝᲜᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ

20 ივნისი. (საკდესი). დღეს ბონში ფედერალური კანცლერის „უწყებაში გაცვალეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების შესახებ ხელშეკრულების ნოტები. გაცვლა მოახდინეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივანმა მ. კოლმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის განსაკუთრებულ დავალებათა მინისტრმა ე. ბარმა.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲡᲙᲘᲚᲔᲑᲘ"

20 ივნისი. (საკდესი). ამერიკელმა კოსმონავტებმა, რომლებიც „სკაილების" ორბიტულ სადგურში იმყოფებიან, 18 ივნისს დაამთავრეს მზეზე მეცნიერული დაკვირვება. მეორე დღეს კოსმონავტები ჩ. კონრადი და პ. ვეიცი გავიდნენ ღია კოსმოსში. ღია კოსმოსში 1 საათისა და 45 წუთის მუშაობის მანძილზე ჩ. კონრადმა ჭუჭყი მოაშორა ერთ-ერთ ტელესკოპის ობიექტივს, შეცვალა ფირებიანი კასეტები ასტრონომიული ხელსაწყოების კომპლექტში, სადგურის კონსტრუქციას მიამაგრა თბოდამცავი ეკრანის მასალის ნიმუში, რათა შეისწავლონ ამ მასალაზე ნაზის ულტრაიისფერი გამოსხივების გავლენა.

20 ივნისს კოსმონავტებმა უნდა მოაწყონ სამედიცინო ექსპერიმენტები, ოპერაციები სპორტო სისტემების კონსერვაციისათვის, აგრეთვე სატელევიზიო პრესკონფერენცია.

ფრენის მეცნიერულმა ხელმძღვანელმა რ. პაჭმა კმაყოფილება გამოთქვა ექსპერიმენტების შედეგების გამო.

ᲜᲘᲥᲝᲖᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲓ ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲨᲘ

20 ივნისი. (საკდესი). აქ გაიმართა პირველი კონცერტი საბჭოთა მსახიობების ჯგუფისა, რომელიც საგასტროლოდ მოგზაურობს ჩრდილოეთ აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. კვიპროსელი მაყურებელნი გულთბილად შეხვდნენ რუსული, უკრაინული და უზბეკური ცეკვის ოსტატთა, ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ორერას", საესტრადო მომღერალთა გამოსვლებს.

ნიკოზიის გარდა, საბჭოთა მსახიობები გამოვლენ აგრეთვე კვიპროსის ორ სხვა ქალაქში — ფამაგუსტახა და ლიმასოლში.

ᲕᲔᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲙᲐᲣᲭᲛᲔᲡ

20 ივნისი. (საკდესი). ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ გაუქმა ქალაქ ლინცის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც გაამართლა ყოფილი ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკის მაუტჰაუზენის მცველი ვ. გოგლი. ლინცის სასამართლომ, რომელიც ერთი წლის წინათ არჩევდა აქტიური სასჯელის საქმეს, შესაძლოდ დაინახა ასეთი გადაწყვეტილების გამოტანა, თუმცა მოწმეებმა — მაუტჰაუზენის ყოფილმა ტუსაღებმა დამტკიცეს ბრალდებულის დანაშაული.

ახლა გოგლის საქმეს გაარჩევს ვენის სასამართლო.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 ივნისი. (საკდესის სპეც. კორრ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი **რ. ნიქსონი** თვთრ სახლში შეხვდა საბჭოთა ჟურნალისტების ჯგუფს. საბჭოთა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს დაუსვეს კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ იფასებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარების შედეგებს ვანელილი წლის მანძილზე და მომავლის პერსპექტივებს.

ჩვენ ფრიად კმაყოფილი ვართ მიღწეული შედეგით საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების განვითარებაში, — წერს „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი", — უკვე დაიწყო ნიქსონთან აქტიური მოლაპარაკება, რომელიც დაეხმარება რუსებს და ამერიკელებს გადადგან ნაბიჯი წინ იმ მიზნით, რომ მსოფლიოს მოხსნან შეიარაღების ტვირთი და განამტკიცონ მშვიდობა".

„ნიუ-იორკ ტაიმსი"

„ნიუ-იორკ ტაიმსი" კომენტარს უძღვნის საპატიო საბჭოთა სტუმრის შეხვედრას ამერიკელ სენატორებთან და აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევთან საუბარმა „დიდი შთაბეჭდილება" მოახდინა მათზე.

„ნოიეს დოიჩლანდი", გდრ

„ნოიეს დოიჩლანდი" ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის პრესტიჟი და ავტორიტეტი არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მაღალი, როგორც ამჟამად. ამას ადასტურებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, წერს გაზეთი. საბჭოთა კავშირი იჩენს ხოლმე გადამწყვეტ და კონსტრუქციულ ინიციატივებს ჩვენი დროის მსოფლიო პოლიტიკის ყველა ძირითად პრობლემაში.

„ციჩე ვარშავი", „გლოს პრაცი", პოლონეთი

„ციჩე ვარშავი" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკება „წარმოებს მთელი კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის ინტერესებისათვის", ლ. ი. ბრეჟნევი ვაშინგტონში აწარმოებს მთელი მსოფლიოს ბედისათვის დიდმნიშვნელოვან მოლაპარაკებას, წერს პოლონური „გლოს პრაცი".

„უნენი", მონგოლეთი

ლ. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკაში აცხადებს მონგოლური „უნენი", დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირის მშვიდობის პროგრამის რეალიზაციაში, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა, მკაფიოდ და დამაჯერებლად ადასტურებს იმას, რომ ცხოველუნარიანია ლენინური მოძღვრება სხვადასხვა სოციალურ-სახოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესახებ.

„სვობოდნე სლოვო", ჩეხოსლოვაკია

„ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, — ნათქვამია ჩეხოსლოვაკიის გაზეთ „სვობოდნე სლოვოს" კომენტარში, — კვლავ ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პროგრამას".

„რაბოტნიჩესკო დელო", ბულგარეთი

როგორც ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო" წერს, ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე თავდაჩენე საქმიანი და ნაყოფიერი მოლაპარაკების კალაპოტით წარიმართა. ასეთი მიდგომა გამოხატავს მისწრაფებას, რომ დაარჩარონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი ახალი შეთანხმებანი მოიცავენ საკითხთა ფართო წრეს. ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია თანამშრომლობის გაფართოების გზაზე, დასაკვნის „რაბოტნიჩესკო დელო".

„ლუმანიტე", საფრანგეთი

ფრანგ კომუნისტთა გაზეთი „ლუმანიტე" კომენტარს უძღვნის მოლაპარაკების პირველ დღეს და აღნიშნავს, რომ მოლაპარაკება დაიწყო ხელშემწყობ ატმოსფეროში, თუმცა ჯერ კიდევ უყელა სიძნელე როდია გადალახული. საჭიროა „ცივი ომის" ინერციის დაძლევა.

„პაეზე სერა", იტალია

„პაეზე სერა" აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცებისათვის. ამასთან ხაზს უსვამს, რომ უდიდესი სახელმწიფოების ურთიერთობის სტაბილურობა, ეჭვი არ არის, უალრესად დადებით გავლენას მოახდენს მთელი საერთაშორისო მდგომარეობაზე.

„ნეშნლ ჰერალდი", ინდოეთი

მთავრობის წრეებთან დაახლოებული ინდური „ნეშნლ ჰერალდი" პრეზიდენტ რ. ნიქსონთან ლ. ი. ბრეჟნევის დაწყებულ მოლაპარაკებას აფასებს როგორც „კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ ნაბიჯს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების გზაზე".

„ანსან უუტისეტი", ფინეთი

„საბჭოთა კავშირის აქტიურმა, „პროგრესულმა და მოქნილმა საგარეო პოლიტიკამ, რომლის მთავარი მიზანია მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფა, უკვე მოიტანა ბევრი სასურველი შედეგი", — წერს მოწინავე სტატიაში ფინური „ანსან უუტისუტი".

„ათ-თაააჰი", ერაყი, „ელ-მუჯაჰიდი", ალჟირი

„ჩვენი დროის ერთ-ერთ შემობრუნების მომენტს" უწოდებს ერაყის გაზეთი „ათ-თააჰი" ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრას პრეზიდენტ რ. ნიქსონთან. უმაღლეს დონეზე შეხვედრა, ხაზს უსვამს ალჟირის „ელ-მუჯაჰიდი", ახალ პოზიტიურ წვლილს შეიტანს უმთავრესი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ საბჭოთა გამოფენა

20 ივნისი. (საკდესი). აქ გაიხსნა საბჭოთა პროდუქციის ნიმუშების გამოფენა, რომელსაც სრულიად საკავშირო გაერთიანება „ტეხმაშექსპორტი" აწყობს. გამოფენის ექსპონატებს შორის არის ტყავის, ფეხსაცმლისა და საფეიერო მოწყობილობისათვის განკუთვნილი დიდმწარმოებლური სამკერვალო მანქანები.

გამოფენა „ტეხმაშექსპორტი", რომელიც მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანას აწვდის თავის ნაწარმს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტთა ინტერესს იწვევს.

ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲝ ᲥᲐᲛᲐᲗᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ

20 ივნისი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში დაწყებულ კამათი ქვეყნის მოაზრობის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. დეპუტატთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ჟობერმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „აი უკვე ათი წელია, რაც საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის დიალოგი განუწყვეტლივ ღრმავდება, ფართოვდება, სულ უფრო შინაარსიანი ხდება". მ. ჟობერმა გაიხსენა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ამსწინანდელი შეხვედრები უმაღლეს დონეზე და თქვა, რომ ორშაბათს, 25 ივნისს დაწყებული ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი „თავისთავად მოწმობს ჩვენი თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას".

შემდეგ რა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუშაობაში წარმატება უსურვა უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის მომავალ თათბირს, რომელიც ჰელსინკეში უნდა გაიმართოს.

შეეხო რა საფრანგეთის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მიმართ, მ. ჟობერმა აღნიშნა, რომ საფრანგეთი უშიშროების **საბჭოს 1967** წლის 22 ნოემბრის რეზოლუციას მიიჩნევს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის აღდგენის პირობად.

ᲐᲠᲚᲕᲔᲕᲔᲜ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

20 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციამ სამშაბათს საფრანგეთის დედაქალაქში გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საიგონის ადმინისტრაცია კვლავ არღვევს ერთობლივ კომუნიკეს ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის პირობის შეთანხმების შესრულების შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ საიგონის ხელისუფალნი კვლავ არ ასრულებენ სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობისათვის დემოკრატიულ თავისუფლებათა მინიჭებისა და პოლიტიკური პატიმრებისა და სხვა სამოქალაქო პირსონალის განთავისუფლების შესახებ ხელმოწერილი დოკუმენტების მუხლებს. სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაცია, აღნიშნულია განცხადებაში, მიუხედავად იმისა, რომ საიგონის ადმინისტრაცია უარს ამბობს განაახლოს კონსულტაციები სამხრეთ ვიეტნამის ორ მხარეს შორის სამხრეთ ვიეტნამის საშინაო პრობლემების მოწესრიგების შესახებ, კვლავ აყენებს წინადადებას ამ კონსულტაციების განახლების თაობაზე.

ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲘ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ

20 ივნისი. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲐᲥ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲐᲮᲘᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲠ

საქართველოს ამა-ბარში

აკადემიკოსი — სახალხო აკადემიაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამას წინათ გელათის სახალხო აკადემიაში გაიმართა მორიგი მეცადინეობა. ლექცია თემაზე — „საბჭოთა მეცნიერების მიღწევები კოსმოსის ათვისების დარგში“ — წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ეგვენი ხარაძემ.

ლექციამ დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ზორეულ რეისიდან...

ბათუმი. (საკ. კორ.). ტრაულერი „წყალტუბო“ დიდტონაჟიანი ხომალდია, იგი აჭარის თევზჭერის სამმართველოსათვის აშენდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეკიპაჟმა ტრაულერი ქალაქ შტრალზუნში მარშან შემოდგომის მიწურულს ჩაიბარა და შორეულ გზას დაადგა. მათ ხანგრძლივი რეწვა მოაწყეს ატლანტიკის ოკეანის კაპ-ბლანას რაიონში.

რეწვა ბარაქიანი აღმოჩნდა. საბაზო ნავსადგურში ეკიპაჟმა ჩამოიტანა 4211 ტონა თევზი.

მალე ტრაულერი ისევ შორეულ რეისში გაემგზავრება.

შენდება სოფელი

ქობულეთი. (საკ. კორ.). ქვედა აჭყვა... ციტრუსის ბაღები, ჩაის ვრცელი პლანტაციები, ქვიტკირის სახლები. მოასფალტებული გზები, ასეთია ახლა ოდესღაც ღარიბი სოფელი.

სოფელში მიმდინარე წელს ოცდაათმა კოლმეურნემ იზეიმა ახალმოსახლეობა. ბევრი იშენებს ახალ ოდა-სახლს.

ახლახან დამთავრდა ტრაქტორების გარაჟებისა და ფერმის სახბორის მშენებლობა. პლანტაციებში მოიხარეს 8 კილომეტრი გზა, მეხუთე ბრიგადაში აიგო ხიდი.

სოფელში გამოქაჯავთ მთის წყარო, 20 კილომეტრზე ჩაწყობილია მილები, მთავრდება სოფლის ტელეფონიზაცია, შეაკეთეს ბანაო.

სახელმძღვანელოები — სკოლებს

117 დასახელების სახელმძღვანელო უნდა გამოშვან 1973-74 სასწავლო წლის დამდეგისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სამეთა სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებმა. თვითეული ამ გამოცემის ტირაჟი 50 ათასს აღემატება. სახელმძღვანელოთა უმრავლესობა — 95 — უკვე გამოშვებული და მიტანილია სკოლებში, ზოგიერთი მეტადვისა და აკინძვის პროცესშია.

განათლების ორგანოებმა სახელმძღვანელები გაუნაწილეს სკოლებს. ნაწილი გამოუყვეს „ცეკავშირს“ რესპუბლიკის რაიონებისათვის. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ აცნობა სკოლების დირექციებს სახელმძღვანელოების გაკეთდვის წესი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გამოყენებული სახელმძღვანელოების შეგროვებას სკოლებში, მათ კომპლექტაციას მოსწავლეთა შორის გასანაწილებლად. სახელმძღვანელოებით ბავშვებს უზრუნველყოფის საქმეში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პედაგოგები და მშობელთა კომიტეტების წევრები.

დაგეგმილია 1 აგვისტოსათვის სკოლებში მიიტანონ ყველა საჭირო სახელმძღვანელო.

ახლა საქმე პოლიგრაფისტებზეა, რომლებიც ძალ-ღონეს არ აშურებენ, რათა დროულად შეასრულონ საპატიო შეკვეთა.

სპორტსმენი, დეპუტატი

ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბათუმის სპორტულ სკოლაში მოვიდა 10 წლის რუსაკო სიხარულიძე. ნიჭიერი გოგონა გამოცდილი და გულისხმიერი მწვრთნელის ანგელინა გაბრიაძის ხელმძღვანელობით სულ მალე დაეუფლა ტანვარჯიშის საიდუმლოებებს და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდშიც იქნა შეყვანილი. რუსუდანის დახვეწილ ოსტატობას ტაშს უკრავდნენ აშშ-ის, იაპონიის, გფრ-ის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის უდიდესი სპორტული სასახლეები.

ამჟამად სპორტის ოსტატი რუსუდან სიხარულიძე გულმოდგინედ ემზადება უნივერსიადისათვის — მსოფლიოს სტუდენტთა თამაშებისათვის, რომელიც მოსკოვში გაიმართება 15-25 აგვისტოს.

ზოთა რუსთაველის სახელობის „პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის რუსუდან სიხარულიძის ცხოვრებაში ამ ცოტა ხნის წინათ მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. იგი ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

□ □

სურათებზე: რუსუდან სიხარულიძე ვარჯიშის შემდეგ; ეს გიგანტური სათამაშო რუსეთის ამერიკაში ჩაუქეს საბჭოთა ნაკრების წლევანდელი ტურნეს დროს.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფართოვდება შემნახველი სალაროების ფუნქციები

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა შექმნეს წანამძღვრები რესპუბლიკაში საშემნახველო საქმის შემდგომი განვითარებისათვის. სისტემატურად ფართოვდება შემნახველი სალაროების ქსელი. ამჟამად 1.325 სალაროა. იზრდება მეანაბრეთა რიცხვი, რომელთა რაოდენობა ჩვენში აღწევს 1 მილიონ 229 ათასს, ხოლო ანაბრების თანხა — 1 მილიარდ 355 მილიონ მანეთს. განუწყვეტლივ იზრდება იმ ოპერაციათა რიცხვი, რომლებსაც შემნახველი სალაროები აწარმოებენ.

შემნახველი სალაროები იღებენ და პირველი მოთხოვნისთანავე გასცემენ ანაბრებს, ჰყიდიან და ყიდულობენ სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციებს, ჰყიდიან საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებს, ანაღდებენ მოგებებს, გასცემენ და ანაღდებენ აკრედიტივებს, იღებენ კომუნალურ და სხვა ქირას, ასრულებენ ბევრ სხვა ოპერაციას.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას, სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების რესპუბლიკურ სამმართველოსა და დამამზადებელ-ორგანიზაციებს 1 ივლისიდან ცდის სახით გორის, ახარაძისა და ლაგოდეხის რაიონებში მოსახლეობის მიერ ჩაბარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის ფული გადაუხადონ საშტატო შემნახველი სალაროებიდან. ამ რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა აღმასკომებსა და მოსახლეობისაგან გამოიყონ შენობები, რომლებშიც გაიხსნება ახალი შემნახველი სალაროები, ახალი ოპერაციის გასაფორმებლად დამამზადებელი ორგანიზაციები 1 ივლისიდან შემნახველ სალაროებს გადაეტრიცხავენ მოსახლეობის კუთვნილი თანხის ჩაბარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის. თანხა მოსახლეობას მიეცემა იმ ქვითრების საფუძველზე, რომლებსაც მოქალაქეები დამამზადებელ პუნქტებში მიიღებენ. გარდა ქვითრებისა, მოქალაქეები წარადგენენ აგრეთვე პასპორტს ან მის შემცვლელ დოკუმენტს (დაწესებული ფორმის ცნობას).

1 ივლისამდე დამამზადებელი ორგანიზაციები ჩამბარებლებს შეატყობინებენ თუ რომელ უახლოეს შემნახველ სალაროებში მიიღებენ ფულს სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის.

ასეთი წესი დაეხმარება სოფლის მშრომელებს დაზოგონ დრო, აგრეთვე მოახდინონ ყველა საჭირო ფულადი ანგარიშსწორება.

წლის დამლევისათვის გულდასმით შეეასწავლით ამ ცდის შედეგებს, რათა გადავწყვიტოთ რესპუბლიკის სხვა რაიონებში მისი გაერცელების შესაძლებლობის საკითხი.

შ. რამიშვილი,

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი.

დღეს ლუჭნიკოში...

ლიდი მატჩის წინ

მსოფლიოს ჩემპიონი — ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები ჯერ კიდევ გზაში იყო, ჯერ კიდევ არ შეკრებილიყვნენ ერთად საბჭოთა ნაკრების წევრები, როდესაც ლუჭნიკის სტადიონის სალაროებში დღეანდელი მატჩის არც ერთი ბილეთი არ იყო დარჩენილი. და აი ორშაბათს გვიან საღამოს მოსკოვში, შერემეტიევოს აეროპორტში ჰამბურგიდან სპეციალური რეისით ჩამოფრინდნენ ბრაზილიის ფეხბურთელები, მათი თანმხლები დიდი ჯგუფი—ოფიციალური პირნი და ჟურნალისტები. იმავე დღეს მოსკოვის მახლობლად მდებარე ნოვოგორსკის სპორტულ ბაზაზე შეიკრიბენ საბჭოთა ფეხბურთელები, რომლებიც მწვრთნელებმა ვალერი გორიანსკიმ და ალექსი პარამონოვმა შეარჩიეს ჩემპიონებთან შეხვედრისათვის.

აი ვინ ემზადებოდა ხუთშაბათის მატჩისათვის: რუდაკოვი, პილუნი, ოფშანსკი, კაპლინრნი, ხურცილავა, ლოვჩევი, ძოძუაშვილი, შუნტიანი, ფედოტოვი, ვასენინი, ვ. კუნინიცოვი, ონიშჩენკო, ზინნენკო, ნიკონოვი, კოლტოროვი, ბლოხინი და ნაკრების დიბიუტანტი ზვიადინცევი (დონეცკის „მახტაორი“). შეხვედრის პირობების თანასმად თამაშს მსვლელობისას შეიძლება მოხდეს ოთხი შეცვლა.

ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა საღამშაბათს დღის მეორე ნახევარში ლუჭნიკში ჩაატარეს ვარჯიში. ჩემპიონებმა ორ საათს იკარჯიშეს, შემდეგ კი გამართეს ორმხრივი თამაშის ტაიმი. მასში მონაწილეობა მიიღო სტუმართა ყველა მოთამაშემ. საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს მონდომება და დისციპლინა, რომლითაც მოთამაშეები ასრულებდნენ ვარჯიშსა და მწვრთნელის მითითებებს. ჟურნალისტებთან საუბარში მათმა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ თქვა, რომ მისი აზრით მხოლოდ დისციპლინირებულ გუნდს ძალუძს დაკისრებული ამოცანების შეხრულება. ფეხბურთელებიდან იგი უპირატესობას ყოველთვის იმათ აკისრებს, ვინც უფრო დისციპლინირებულია. ალბათ ამიტომ არის, რომ ახლა ბრაზილიის ნაკრებს თან აღარ ახლავს ექიმი-ფსიქოლოგი, რომლის დასმარებას ჩემპიონები წინათ მიმართავდნენ.

ზაგალოს თავისი განსაკუთრებული ტაქტიკური ჩანაფიქრი აქვს, მან გუნდში აიყვანა ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც მის გეგმებს განახორციელებენ. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიის ნაკრები ახლა თაობათა ცვლის პერიოდს განიცდის. ეს პროცესი ძალზე მტკივნეულია და ყოველთვის გარკვეულ სიძნელეებს იწვევს. ამით აიხსნება გუნდის ამასწინანდელი დამარცხება იტალიის ნაკრებთან და ფრე ავსტრიის გუნდთან.

მოსკოვში ჩამოსულამდე ბრაზილიელებმა დაპყრეს ხუთ ქვეყანაში, და ყველგან ერთსა და იმავე კითხვას ილაბდნენ: სჯერდება თუ არა გუნდს პელე?

— ახლა პელე ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია, — თქვა ზაგალომ, — მაგრამ მან თვითონვე გვითხრა უარი ნაკრებში მონაწილეობაზე. თუმცა ადვილი მოსალოდნელია, რომ გაიხსენ იგი შეკვლის თავის გადაწყვეტილებას და ჩვენც, რა თქმა უნდა, მივიღებთ მას. მაგრამ გუნდს ასეთი კლასის ფარკვლავის გარეშეც შეუძლია კარგი თამაში და შეეფდება კიდეც აჩვენოს იგი.

ვ. კუკუშკინი,
ა. კოზლოვი.
(საკადესი).

• • •

დღეს ბრაზილიისა და სსრ პავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრის წინ მოხდება დიდი ფეხბურთიდან საბჭოთა ნაკრების ყოფილი კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალბერტ შუსტერნიოვის (ცხა) გაცილების ცერემონიალი. მატჩი, რომელსაც უმსაჯებს გფრ-ის არბიტრთა ბრიგადა, ტრანსლირებული იქნება ცენტრალური ტელევიზიით. იგი დაიწყება 20 საათსა და 25 წუთზე თბილისის დროით.



ბ ნ ო ბ ი ლ ე ბ ა

ბნობილება, რომ წინანდლის მფლობელს—გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძეს თავისი ოჯახის ლეკვების ტყვეობიდან გამოსასყიდად მოუდა წინანდლის, მუკუზნის და ნაფარეულის მამულების დაგირავება საუფლისწულო მამულების უზეკრებში („უდელი“). ალექსანდრემ შემდეგ მისი გამოსყიდვა ვერაერ შეძლო და ვალში დაურჩა საუფლისწულო უზეკრებს, რომელიც ამ მამულებში დამშვებული ღვინოებს ინახავდა წინანდლისავე კეთილმოწყობილ სარდაფებში.

და აი სწორედ კახეთის ღვინის საწარმოებმა მისცა ბიძგი თბილისში აშენებულიყო ხელოვნური ქარხანა, რისთვისაც შეიძინეს 2,5 ჰექტარი მიწის ფართობი ქალაქგარეთ, წყნეთის (ამჟამად მელიქიშვილის) ქუჩაზე.

1894 წელს დაიწყო ღვინის ქარხნის მშენებლობა, რომელიც 1896 წელს დამთავრდა. მან პირველი პროდუქცია 1897 წელს გამოუშვა. ქარხნის მშენებლობის პროექტი შეადგინა ცნობილმა ინჟინერ-არქიტექტორმა ა. ოზეროვმა. პროექტში მან ძველი ქართული არქიტექტურის მოტივები შეიტანა. მშენებლობაც მისი ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა, მისი პროექტით აშენდა ღვინის ქარხნები და პირველადი გადამუშავების საწარმოები ნაფარეულსა და მუკუზანში. ქარხნის მშენებლობაში მონაწილეობდა იმ დროისათვის ცნობილი მეღვინე-სპეციალისტი გ. გოგოლ-იანოვსკი, რომელიც დაინიშნა ქარხნის პირველ გამგედ. ღვინის პირველი ქარხანა აიგო თავისი დროისათვის მეღვინეობის მოწინავე ტექნიკურ-ორგანიზაციულ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ჭერძო საწარმოების, სირაჯების, სამაგიტნეების, კოოპერაციულ ამხანაგობათა გვერდით ასეთი ქარხნის აშენება თბილისისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მისი დაარსებიდანვე ამ საწარმოში მუშაობდნენ ღვინის მრეწველობის კორიფეები, როგორიც იყვნენ გ. გოგოლ-იანოვსკი, ა. ეგოროვი, ვ. კანდელაკი, გამოჩენილი მეღვინეები კ. გაბიჩავიძე, ი. თარხნიშვილი, დ. მდივანი, მეღვინეობის მაღალკვალიფიციური მუშები. ქარხნის საპროექტო სიმძლავრე განისაზღვრებოდა წელიწადში 80 ათასი დეკალიტრით. იგი სარეალიზაციოდ უშვებდა ევროპული წესით დამზადებულ ღვინოებს: თეთრ და წითელ წინანდალს, ნაფარეულს, მუკუზანს, წითელ თელიანს—სულ 7 მარკის ღვინოს. სამი წლის დაძველების შემდეგ ღვინოს გზავნიდნენ თბილისის ღვინის სარდაფებში.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ქარხანა საქართველოში მეღვინეობის მეცნიერული განვითარების ერთგვარ კერად გადაიქცა, აქ იკითხებოდა ლექციები მეღვინეობის პირველი უმაღლესი (უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის) სასწავლებლის მსმენელთათვის.

საქართველოში მეღვინეობის განვითარებას მკაფიოდ ასახავს ღვინოების ბიბლიოთეკა — ენოთეკა, რომელიც პირველად სწორედ ჩვენს ქარხანაში მოეწყო. ახლა ეს ენოთეკა 135 ათას ბოთლს ითვლის. კოლექციაში შედის სხვადასხვა წლების მოსავლის 1700 დასახელების ღვინოები — სუფრისა, შამპანერი და სადესერტო, კონიაკები და შამპანური. საკოლექციო ღვინოების შეკვეთებში დიდი ოვალი მიუძღვით ცნობილ მეცნიერ მეღვინეებს გ. გოგოლ-იანოვსკის, ი. თარხნიშვილს, ა. ეგოროვს, ვ. კანდელაკს, გ. მგალობლიშვილს და მათ მომდევნო თაობებს.

საკოლექციო განყოფილებაში ინახება როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის საკოლექციო უნიკალური, ათასობით სხვადასხვა მარკის ღვინოები, რაც დიდ სამეცნიერო ბაზას წარმოადგენს მეღვინეობის მთელი რიგი საკითხების გამოსაკვლევად. კოლექციაში ინახება მე-18, მე-19 საუკუნეებში დამზადებული უნიკალური ღვინოები: შატო-ლაფიტი 1775 წლის მოსავლისა, შატო-ლატური 1805-1807 წლების მოსავლისა, შატო-იკემი 1874 წლის მოსავლისა, რომანეკონტი 1865 წლის მოსავლისა, შატო-მარგო 1874 წლისა, „ერმიტაჟი“ 1897 წლისა, „ლაკრიმა-კრისტი, მონტრაშე, 300 წლის რუსული არაყი, 200 წლის პოლონური თაფლი, ნაპოლეონის დროის კონიაკი (1811 წ.).

1910 წელს ინობილმა რუსმა მეღვინემ გოლიციანმა ინახულა ღვინოების კოლექცია და 1891 წლის მოსავლის ჯაფარ საფერავზე შეადარა ყურადღება. მან იგი შეადარა ფრანგულ „გრან-პრი“ პირველი კლასის ეითელ ღვინოებს და თქვა, მათ არ ჩამოუვარდებაო.

რევოლუციის შემდეგ ენოთეკა შეიავსო მეფის ნაცვლის სასახლისა და რომანოვების ლიკანის სასახლის კოლექციებში. არსებული საზღვარგარეთელი ღვინოების საუკეთესო ნიმუშებით.

ადგილობრივი ღვინოებიდან ყველაზე ძველი ნიმუშებია წინანდალი-თეთრი (1873, 1917, 1918 წლებისა), ნაფარეული-თეთრი (1917, 1930 წწ.), მუკუზანი (1938-1939 წწ.), ცოლიკაური (1939 წ.), საამო (1923 წ.). დაცულია 1930 წელს დაყენებული ეროვნული ტიპის ნაფარეული-თეთრი, 1917 წლის წინანდალი-თეთრი, რომელებსაც საუკეთესო თვისებები ახლაც ახასიათებს, ძვირფასი შინაარსიანი ბუკეტით. აქ ნახავთ 1914 წლის მოსავლის ღვინო თელიანს კაბერნეს ყურძნის ჯიშიდან, რომელიც მოგვაგონებს ბორდოს ტიპის ღვინოს. იგი გამოირჩევა ჯიშური ბუკეტით, სირბილით, ჰარმონიული გემოთი, ხასიათდება მაღალი სამკურნალო თვისებებით. 1914 წლის მოსავლის წინანდალი-წითელი თავისი აკიბულებით და ხასიათით მოგვაგონებს ბურგუნდიის ტიპის ღვინოს.

1928 წლის მოსავლის საღინო გამოირჩევა შესანიშნავი ბუკეტით და გემოთი. ეს მაღალხარისხოვანი ღვინო დაჯილდოდა ექვსი ოქროს მედლით. ადგილობრივი ტექნოლოგიით დამზადებულ კახურ ღვინოებს — 1949-1951, 1953-1961 წლების მოსავლის „ტიბაანს“, 1968 წლისა და შემდგომი წლების მოსავლის „ალდანახს“ ახასიათებთ ჯიშური ბუკეტი და გემო, ჰარმონიულობა. ამ ღვინოებში ენერგია და ძლიერება კარგად არის შეთავსებული სამკურნალო თვისებებთან.

ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის კორიფეები, რომელებსაც საკმაო წლები უხდებოდათ მუშაობა საქართველოში, დიდად აფასებდნენ ქართული ღვინოების დირსებას. ეი რას ამბობდნენ ისინი, კერძოდ, ადგილობრივი წესით დაყენებულ კახურ ღვინოებზე.

პროფესორი ვ. ხოვრენკო: „მიუხედავად თავისი სიმწკლარტისა, ისინი არ ქმნიან უხეში ღვინის შთაბეჭდილებას, ადვილად ისმება; იწვევს ეოცხალ სასიამოვნო შეგრძნებას და არ ანაცვალ ორგანიზმს. კარგად შენახული კახური ღვინოები გამოირჩევიან თავისებური კეთილშობილებით და ფაქიზი გემოთი“;

პროფესორი ბ. ბოგოლ-იანოვსკი: „კახური ტიპის ღვინოს... ქვევრებში ღუღილის დროს ჭაჭაზე გაჩერების გამო აქვთ კარგად გამოხატული ეი ყურძნის, არომატი, რომელსგანაც მათ ამზადებენ“;

პროფესორი მ. ბერასიშვილი: „კახური ტიპის ღვინო ფართოდ არის გავრცელებული ამერიკაკავასიაში, აგრეთვე კავშირის სხვა რაიონებში. იგი გასაოცარ ჰარმონიას უქმნის სამხრეთის მოსახლეობის ცხიმოვან და ცხარე საჭმლებს“.

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში გაიმართა მეღვინეობის საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა გამოჩენილი ფრანგი მეღვინე, საერთაშორისო მეღვინეობა-მეღვინეობის ფედერაციის პრეზიდენტი, აწგანხვენებული ბარონი ლე რუა.

კონგრესის სხდომაზე მან განაცხადა: „ქართული ღვინოები ჩემში იწვევენ საუკეთესო სურვილებს, ქართული ღვინოები მარად იცოცხლებენ. მადლობა იმათ, ვინც შექმნა სიცოცხლის ელექსირი, მადლობა იმათ, ვინც მომცა შესაძლებლობა გამეცნო საუცხოო ღვინით დალოცვილი ქვეყანა“.

ბ. ნიკოლაიშვილი,
სამტრესტის ღვინის № 1 ქარხნის დირექტორი
ბ. მგალობლიშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული მეღვინე-ტექნოლოგი.

სურათებზე: ზემოთ — № 1 ღვინის ქარხნის ფასადი; ქვემოთ — ქარხნის ენოთეკაში.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

უძველესი, უნიკალური

□ ცოტა რამ ისტორიიდან □ ღვინეებულია 1775 წელს □ გინახავთ ენოთეკა?

ჟურნალების ახალი ნომრები

„საქართველოს პიონერი“ № 12

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო - პოპულარულ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეექვსე ნომერი.

„სკოლა და ცხოვრება“ № 6

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მორიგი, მეექვსე ნომერი.

ეკონომიკა

დღეს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 26-30, მთაში — 20-24 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ზოგან მცირე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 24-28, მთაში — 19-23 გრადუსი სითბო.

თბილისში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი სითბო.

ტელევიზია

21 ივნისი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დაკარი“ (მეათე სერია), 11.30 — კინოპროგრამა, 12.00 — საინფორმაციო პროგრამა (ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები: ქიმიაში, 17.15 — სსრ კავშირის ისტორიაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — ბავშვებისათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — „ბუნება — ადამიანის მეგობარი“, 19.15 — კონცერტი, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — ფერადი ტელევიზია. საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში: საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.15 — ამერიკის შეერთებული შტატების პიტსბურგის უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები: მასალათა გამძლეობაში, 19.35 — პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.35 — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 21.35 — განცხადებები, 21.40 — მხატვრული ფილმი „წინ დღეა“.

რადიო

22 ივნისი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული კამერული მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ა. ბოროდინი. ნაწყვეტები ოპერა „თავადი იგორიდან“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, 12.30 — პოპულარული საფორტეპიანო კონცერტი, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი (პროგრამა შეადგინა კალინინის სახელობის ლენინენ-ჩარხნის ამწყობ-ზეინკალმა ე. მარდანიამ), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთი „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — რ. ლალიძე. სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის“, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთი „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 14.00 — „მუსიკალური ხელოვნების საგანძურიდან“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — გ. კოკელაძე. „კანტატა საქართველოზე“; ი. გეგაძე. „საზეიმო უვერტიურა“, 17.40 — მოსწავლეთათვის. რადიონარკვევი ერთი სოფლის ბავშვები“, 18.05 — ა. ბალანჩივაძე. საბალეტო მუსიკა, 18.45 — ვ. მურადელი. სიმღერები, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა, 19.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 19.45 — მუსიკა კინოფილმებიდან, 20.00 — ვ. ნატრაშვილი. „ფრონტული დღიური“. რადიოდადგმა, 20.45 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ვოკალური ოქტეტის კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — ო. თაქთაქიშვილი. კანტატა „ჩაუქრობელი კერა“; ს. პროკოფიევი. ფორტეპიანო კონცერტი, 22.00 — ა. გეგეჭკორი. „ეარსკვლავი ანათებს მიწას“. ნარკვევი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — მ. იაშვილისა და ზ. ანჯაფარიძის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

21 ივნისი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდეგო დასკვნა (ბავშვები 16 წლამდე არ დაიშვებიან); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — შვიდნი ქმანი ბურჯანელნი.**

ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენ ქოვილჭიროთ

ეროვნული ფინიში

გადადგული პარტიების დამთავრებამ ასეთი შედეგები მოიტანა: კორჩნოიმ მოუგო ტალს, ტალმა — ტუმკაკოვს, კუზმინმა — ტალს, სმეიკალმა — რუკავინას (ეს მისი ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებაა), ჰიუბნერმა — სმეიკალს, კარპოვმა — ულმანს, ტუმკაკოვმა — რუკავინას და გლიგორიჩს, ტორემ — კუელარს, კინტეროსმა — კუელარს. ყიბიზე შეთანხმდნენ ტუმკაკოვ-ლარსენი, კორჩნოი-გლიგორიჩი, გლიგორიჩ-ტალიანოვი, კინტეროს-კუზმინი, და ტალიანოვ-ულმანი.

ამრიგად, დღევანდელი, მეცამეტე ტურის წინ, რომლითაც იწყება ფინიში, სამ სპორტიო ადგილზე ექვსი რეალური პრეტენდენტია დარჩა. ესენი არიან კორჩნოი (9 ქულა), კარპოვი (8,5 ქულა და 1 გადადებული), ბირნი (8,5), ლარსენი, სმეიკალი (რვა-რვა ქულა) და ჰიუბნერი (7,5 ქულა).

ვისთან მოუზდებათ შეხვედრა სამეულის პრეტენდენტებს? კორჩნოის მეტოქეები თანმიმდევრობით იქნებიან რადულოვი, სმეიკალი, ტორე, ესტრინი და ჰიუბნერი. სამეულში გასასვლელად კორჩნოისათვის საკმარისია ერთ ქულაზე ნაკლები. ასეთ ვითარებაში ალბათ ადვილია ვიწინასწარმეტყველოთ, ვინ ვინ ეთამაშება ერთმანეთს ბოლო ტურში. ეს ალბათ ასეთ სურათს ექნება: ტალი — ულმანს, ტალიანოვ-ულმანი, ტუმკაკოვ-ტალიანოვ, ტალ-ტალ, ტალ-ტუმკაკოვ, ტალ-ტალ, ტალ-ტალ, ტალ-ულმანი